USAID
ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡᲒᲐᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ
ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ
ᲘᲣᲠᲘᲡᲢᲗᲐ
ᲐᲡᲝᲪᲘᲐᲪᲘᲐ

თავისუფალი,სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო-პოლიტიკური ციკლი 2022-2025 წლებში

საინფორმაციო ბიულეტენი №45
ივნისი, 2023

თბილისი, 2023

ხელმძღვანელი:

ნანუკა ყრუაშვილი

ავტორი:

ნიკა ოდიკაძე

საინფორმაციო ბიულეტენის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ბიულეტენის შინაარსზე პასუხისმგებელია „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ (საია). ის შესაძლოა არ ასახავდეს USAID-ის ან აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.

USAID
ამერიკელი ხალხისგან

შესავალი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ (საია) 2019 წლის აგვისტოდან მთელი ქვეყნის მასშტაბით დაიწყო პროექტის „თავისუფალი, სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო პოლიტიკური ციკლი 2019-2022 წლებში" იმპლემენტაცია. პროექტის ერთ-ერთი მიზანია საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა მონიტორინგისა და მტკიცებულებაზე დაფუძნებული ადვოკატირების გზით. ამის მისაღწევად ორგანიზაცია დააკვირდება მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლებსაც გააცნობს საზოგადოებას და წარუდგენს გადაწყვეტილების მიმღებ პირებს. ამჟამად წარმოგიდგენთ №45 ბიულეტენს. მასში აღწერილია ივნისში განვითარებული ის მოვლენები, რომლებმაც გავლენა მოახდინა პოლიტიკურ გარემოზე.

1. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან" (ენმ) გასულმა დეპუტატებმა საპარლამენტო ჯგუფი შექმნეს

პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან" გასულმა ორმა დეპუტატმა რომან გოცირიძემ და ხატია დეკანოიძემ საპარლამენტო ჯგუფი - „ევროოპტიმისტები" შექმნეს.[1] პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტმა ამ საკითხს მხარი 8 ივნისს დაუჭირა.[2] ჯგუფის შექმნა შესაძლებელი გახდა პარლამენტის რეგლამენტში რომან გოცირიძისა და ხატია დეკანოიძის მიერ ინიციირებული ცვლილების შედეგად, რომლებიც პარლამენტმა 30 მაისს 91 ხმით, დაჩქარებული წესით მიიღო.[3] ცვლილების მიხედვით, 2024 წლის არჩევნების შემდეგ დაკომპლექტებული პარლამენტის უფლებამოსილების ცნობამდე ერთი პოლიტიკური პარტიისა ან საარჩევნო ბლოკის წარდგენით არჩეულ დეპუტატებს, თუ იმავე პოლიტიკური პარტიის ან საარჩევნო ბლოკის წარდგენით არჩეულ პარლამენტის წევრებს შექმნილი აქვთ ფრაქცია, უფლება აქვთ, შექმნან პოლიტიკური ჯგუფი, თუ მათ დატოვეს შესაბამისი პოლიტიკური პარტიის ან საარჩევნო ბლოკში შემავალი პარტიის წევრობა.[4] რომან გოცირიძის თქმით, პოლიტიკური ჯგუფის ფორმატი მათ მეტ შესაძლებლობას მისცემს საპარლამენტო ბერკეტების გამოსაყენებლად.[5]

2. ძალადობის შემთხვევები და თავდასხმა „გირჩი – მეტი თავისუფლების" ლიდერზე

17 ივნისს „თავს დაესხნენ „გირჩი – მეტი თავისუფლების" ლიდერ ზურაბ გირჩი ჯაფარიძეს, რომელიც ბორჯომში, „ინდივიდუალური თავისუფლების ინსტიტუტის" ბანაკში ლექციის ჩასატარებლად მიემართებოდა. ინციდენტი, დაახლოებით, 9:00 საათზე მოხდა, როდესაც უცნობმა მამაკაცმა მას სახეში გაარტყა.[6]

პოლიციამ თავდასხმის ფაქტზე იმავე დღეს ერთი ადამიანი დააკავა. საქმე სისხლის სამართლის

---

[1] „საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტმა საპარლამენტო პოლიტიკური ჯგუფის „ევროოპტიმისტების" რეგისტრაციას მხარი დაუჭირა", საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 2023 წლის 8 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/kwh5iGhc, განახლებულია: 22.08.2023.

[2] იქვე.

[3] „პარლამენტმა 91 ხმით რეგლამენტში ცვლილებას მხარი დაუჭირა", საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 2023 წლის 30 მაისი, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/Gwh5oUT5, განახლებულია: 22.08.2023.

[4] იქვე.

[5] „გოცირიძე: მე და დეკანოიძემ პარლამენტში პოლიტიკური ჯგუფი შევქმენით, სახელს ვარჩევთ", საინფორმაციო პორტალი „Tabula", ხელმისაწვდომია: https://tabula.ge/ge/news/700857-gotsiridze-me-dekanoidzem-parlamentshi-politikuri, განახლებულია: 22.08.2023.

[6] „მოძალადეთა ჯგუფი ოპოზიციონერ პოლიტიკოსს და ახალგაზრდულ ბანაკს თავს დაესხა", საინფორმაციო პორტალი „Civil.ge", 2023 წლის 17 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/548639, განახლებულია: 22.08.2023.

კოდექსის 126-ე მუხლით აღიძრა, რაც ძალადობას გულისხმობს.[7] საქმის არსებითი განხილვა 4 აგვისტოს დაიწყება.

იმავე დღეს, დაახლოებით დილის 11 საათზე, ათეულობით ადამიანი თავს დაესხა „ინდივიდუალური თავისუფლების ინსტიტუტის“ ბანაკს სახელწოდებით „ლიბერალური განათლების აკადემია“, რომელიც 15-16 წლის მოსწავლეებს აერთიანებს.[8] ინციდენტი ბორჯომის მუნიციპალიტეტში მოხდა.[9]

თავდამსხმელებს შორის იყო ვატო შაქარიშვილი, წარსულში „ქართული ოცნების“ ახალგაზრდული ფრთის ერთ-ერთი აქტიური წევრი, რომელმაც გასულ წელს „კონსერვატიული მოძრაობა – საქართველო უპირველეს ყოვლისა“ დააფუძნა.[10]

3. პრეზიდენტმა საარჩევნო კოდექსში შესატან ცვლილებებს ვეტო დაადო

13 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით მიიღო საარჩევნო კოდექსსა და პარლამენტის რეგლამენტში შესატანი ცვლილებები. ეს საკანონმდებლო პაკეტი პარლამენტში 8 ივნისს დაინიცირდა. ცვლილებებით, საქართველოს პარლამენტი ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკო) თავმჯდომარესა და 7 წევრს, პრეზიდენტის ნაცვლად, პარლამენტის თავმჯდომარის წარდგინებით აირჩევს. არჩევისთვის საჭირო ხმების რაოდენობა კი, არსებული 2/3-ის ნაცვლად, უბრალო უმრავლესობამდე შემცირდება.[11]

26 ივნისს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ამ ცვლილებებს ვეტო დაადო.[12] მისი პოზიციით, თავმჯდომარისა და წევრების, 100-ის ნაცვლად, 76 ხმით არჩევა აუქმებს კონსენსუსზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების საჭიროებას და ზრდის პოლარიზაციის რისკს.[13] პრეზიდენტის შეთავაზებით, ცესკოს თავმჯდომარე და წევრები უნდა დამტკიცდნენ, არანაკლებ, 90 ხმით, როგორც ეს სახალხო დამცველის შემთხვევაში მოხდა.[14]

ინიციირებული ცვლილებების პაკეტს 8 მაისს გამოეხმაურა „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“.[15] ორგანიზაციის განცხადებით: „ცესკოს დაკომპლექტების 2021 წელს მიღებული წესის უგულებელყოფით, „ქართული ოცნება“ უარს აცხადებს დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებაზე, რითაც ეწინააღმდეგება ქართველი ხალხის ინტერესს, ევროინტეგრაციის პროცესს და იმ მთავარ პრინციპებსა და ღირებულებებს, რომლებსაც საქართველოსა და მის სტრატეგიულ პარტნიორებს შორის არსებული ურთიერთობა ეფუძნება“.[16]

საიამ მმართველ პარტიას მოუწოდა, არ დაემტკიცებინა შემოთავაზებული კანონპროექტი,

---

[7] „გირჩი – მეტი თავისუფლების“ ლიდერზე თავდამსხმელს წინასწარი პატიმრობა შეეფარდა“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2023 წლის 20 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/548977, განახლებულია: 22.08.2023.

[8] „მოძალადეთა ჯგუფი ოპოზიციონერ პოლიტიკოსს და ახალგაზრდულ ბანაკს თავს დაესხა“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2023 წლის 17 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/548639, განახლებულია: 22.08.2023.

[9] იქვე.

[10] იქვე.

[11] „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ საკანონმდებლო ინიციატივა, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/#law-drafting/26338, განახლებულია: 22.08.2023.

[12] „პრეზიდენტმა ვეტო დაადო „საარჩევნო კოდექსში“ მიღებულ ცვლილებებს“, საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალური ვებგვერდი, 2023 წლის 26 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/Awh0wsAD, განახლებულია: 22.08.2023.

[13] იქვე.

[14] იქვე.

[15] „ცესკოს დაკომპლექტების წესის ცვლილებებით „ქართული ოცნება“ აგრძელებს კანონმდებლობის პარტიულ ინტერესებზე მორგებას და ამცირებს ცესკოს დამოუკიდებლობას“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი, 2023 წლის 8 მაისი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3Xk8QuH, განახლებულია: 22.08.2023.

[16] იქვე.

რომელიც მხოლოდ „ქართული ოცნების" ვიწრო პარტიულ ინტერესებს ემსახურებოდა და გათვალისწინებინათ სტრატეგიული პარტნიორების რეკომენდაციები საარჩევნო ადმინისტრაციის დამოუკიდებლობისთვის ქმედითი ნაბიჯების გადადგმასთან დაკავშირებით.[17]

აღსანიშნავია, რომ ცესკოს დაკომპლექტების ცვლილებებამდე არსებული მოდელი შარლ მიშელის შეთანხმების ნაწილი იყო.

4. პრემიერ-მინისტრის ყოველწლიური ანგარიში

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ყოველწლიური მოხსენებით პარლამენტის წინაშე 30 ივნისს წარდგა.[18] ის თავის გამოსვლაში, სამთავრობო პროგრამით გათვალისწინებულ სხვა პრიორიტეტებთან ერთად, შეეხო საქართველოს ევროპული ინტეგრაციის საკითხს და აღნიშნა, რომ ევროპელმა პარტნიორებმა უსამართლოდ დაჩაგრეს საქართველო კანდიდატის სტატუსის არმიცემით. ღარიბაშვილის თქმით, საქართველო ყველა პარამეტრით მოლდოვასა და უკრაინაზე უკეთეს მდგომარეობაში იმყოფებოდა.[19]

ღარიბაშვილმა ხაზი გაუსვა ასოცირების შეთანხმებასა და უვიზო მიმოსვლის მნიშვნელობას. ასევე ისაუბრა ევროპული პერსპექტივის აღიარებაზე და ამ კუთხით მმართველი პარტიის მნიშვნელოვან როლზე. მან აქცენტი გააკეთა ოპოზიციის მხრიდან ევროინტეგრაციის პროცესის მიზანმიმართულ დაბრკოლებაზე. პრემიერის თქმით, სტატუსის მიღება შეამცირებს პოლარიზაციას ქვეყანაში.[20]

5. ევროკავშირისა და საქართველოს ურთიერთობები

5.1. საერთაშორისო პარტნიორების ვიზიტები თბილისში

5 ივნისს სამუშაო ვიზიტით თბილისს ეწვია გერმანიის ბუნდესტაგის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე მიჰაელ როტი.[21] ის საქართველოს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს, საგარეო საქმეთა მინისტრ ილია დარჩიაშვილს, პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილს, ასევე სამოქალაქო საზოგადოებისა და ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებს შეხვდა.[22] მიჰაელ როტმა ჟურნალისტებისთვის გამართულ პრესკონფერენციაზე ხაზგასმით ისაუბრა ევროკომისიის მიერ წარმოდგენილი 12 პრიორიტეტის შესრულების მნიშვნელობაზე.[23]

5 ივნისს საქართველოს ესტუმრა გერმანიის ბუნდესტაგის წევრი, გერმანიის ფედერალური მთავრობის კოორდინატორი სამხრეთ კავკასიის, ცენტრალური აზიის ქვეყნებსა და მოლდოვის რესპუბლიკასთან საზოგადოებათაშორისი თანამშრომლობის საკითხებში რობინ ვაგენერი.[24] იგი პარ-

---

[17] იქვე.

[18] „საქართველოს პრემიერ-მინისტრის ყოველწლიური მოხსენება" საქართველოს პარლამენტის ოფიციალური youtub-გვერდი, 2023 წლის 30 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://www.youtube.com/watch?v=SX3GKYLyYW8&t=1289s, განახლებულია: 22.08.2023.

[19] იქვე.

[20] იქვე.

[21] „ბუნდესტაგის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე: „საქართველოს გარეშე ევროკავშირი არ არის სრულყოფილი", საინფორმაციო პორტალი Civil.ge", 2023 წლის 7 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/546876, განახლებულია: 22.08.2023.

[22] იქვე.

[23] იქვე.

[24] „რობინ ვაგენერი საქართველოს სტუმრობს", საინფორმაციო პორტალი „Civil.ge", 2023 წლის 6 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/546874, განახლებულია: 22.08.2023.

ლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე ნიკოლოზ სამხარაძეს შეხვდა.[25] საქართველოს პარლამენტის მიერ გამოქვეყნებულ პრესრელიზში აღნიშნულია, რომ ვაგენერის თქმით: „გერმანია საქართველოს არა მხოლოდ კანდიდატის სტატუსის მიღებას უჭერს მხარს, არამედ საქართველოს მომავალს ევროკავშირში ხედავს. იგი მიიჩნევს, რომ ჩვენი ქვეყანა ევროკავშირისთვის ერთ-ერთი ყველაზე საიმედო პარტნიორია“.[26]

5.2. გერმანიის განახლებული უსაფრთხოების სტრატეგია

გერმანიამ 14 ივნისს განახლებული ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია მიიღო, რომელშიც საქართველო პირველად არის ნახსენები ევროკავშირის გაფართოების კონტექსტში.[27] ქვეთავში „მშვიდობისა და თავისუფლების დაცვა“ ნათქვამია: „გერმანიის ფედერალური მთავრობა მხარს უჭერს ევროკავშირის შემდგომ ინტეგრაციას, ერთობასა და გაფართოებას დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნების, უკრაინის, მოლდოვისა და, პერსპექტივაში, საქართველოს მიღების გზით“.[28]

5.3. ევროკავშირი-საქართველოს საპარლამენტო ასოცირების კომიტეტის მე-12 სხდომა

8 ივნისს ბრიუსელში, ევროპარლამენტში, ევროკავშირი-საქართველოს საპარლამენტო ასოცირების კომიტეტის მე-12 სხდომა გაიმართა.[29] სხდომას ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტისა და ევროპარლამენტის მუდმივმოქმედი დელეგაციები, ასევე, საქართველოს აღმასრულებელი სტრუქტურების წარმომადგენლები.[30]

შესავალ გამოსვლაში საქართველოს საპარლამენტო ასოცირების კომიტეტის თავმჯდომარე, ევროპარლამენტარი მარინა კალიურანდი, სხვა საკითხებთან ერთად, შეეხო ევროპარლამენტის ორ რეზოლუციას საქართველოში მედიის თავისუფლებისა და ჟურნალისტების უსაფრთხოების შესახებ, ასევე ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მდგომარეობას.[31] მისი თქმით: „დამალვას აზრი არ აქვს, რომ საქართველოს ხელისუფლებასა და დასავლელ პარტნიორებს შორის, განსაკუთრებით, ევროპარლამენტთან ურთიერთობები გასულ წელს საკმაოდ მშფოთვარე და, შეიძლება ითქვას, ქაოსურიც კი იყო“.[32] კალიურანდმა აღნიშნა, რომ საქართველოს მოსახლეობის 89% მხარს უჭერს ქვეყნის ევროკავშირში ინტეგრაციას, საქართველოს ხელისუფლებას კი მართებს, შეასრულოს საკუთარი დაპირებები და გამოიყენოს არსებული „შესაძლებლობების უნიკალური ფანჯარა“.[33]

5.4. პრემიერის ვიზიტები კიშინიოვში, ბერლინსა და ბრიუსელში

1-ელ ივნისს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი მოლდოვაში, ევროპული პოლიტიკური გაერთიანების სამიტზე იმყოფებოდა.[34] ღარიბაშვილმა ეს ვიზიტი მედიასთან შეაფასა.

---

[25] იქვე.
[26] იქვე.
[27] „საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივა გერმანიის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაში აისახა“ საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2023 წლის 14 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/548125, განახლებულია: 22.28.2023.
[28] იქვე.
[29] „ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების კომიტეტმა მე-12 სხდომა გამართა“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge”, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/547393, განახლებულია: 22.08.2023.
[30] იქვე.
[31] „ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების კომიტეტმა მე-12 სხდომა გამართა“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge”, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/547393, განახლებულია: 22.08.2023.
[32] იქვე.
[33] იქვე.
[34] „პრემიერი: მნიშვნელოვანია მაღალი დონის დიალოგის შენარჩუნება EU-ს კანდიდატობის მიზნის მისაღწევად”,

მან ევროპელ კოლეგებს პირობა მისცა, რომ, დაახლოებით, ივნისის ბოლოს ქართული მხარე დაასრულებდა 12 რეკომენდაციით გათვალისწინებულ პრიორიტეტებზე მუშაობას, ამის შემდეგ კი „ბოლო სიტყვა ევროპაზე იქნებოდა“.[35]

14 ივნისს პრემიერი ბელგიას სტუმრობდა, სადაც შეხვედრები გამართა პრემიერ-მინისტრ ალექსანდერ დე კროოსთან, ევროპული საბჭოს პრეზიდენტ შარლ მიშელთან, ევროპული სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში ევროკომისარ ოლივერ ვარჰეისთან.[36] შეხვედრებზე ყურადღება გამახვილდა საქართველოს ევროპული პერსპექტივის აღიარების „ისტორიულ გადაწყვეტილებაზე“. მხარეებმა ასევე განიხილეს ევროკომისიის მიერ წარმოდგენილი 12 პრიორიტეტის შესრულების კუთხით საქართველოს მიერ მიღწეული პროგრესი.

პრემიერის ბრიუსელში ვიზიტს გამოეხმაურა ოპოზიციონერი დეპუტატი პაატა მანჯგალაძე.[37] მისი თქმით, მხოლოდ ვიზიტი არ არის საკმარისი და მნიშვნელოვანია, პარტნიორებს დავანახოთ სხვადასხვა მიმართულებით მიღწეული პროგრესი.

დეპუტატ მიხეილ დაუშვილის თქმით, პარტნიორებისგან მომავალი პოზიტიური მესიჯები არ არის საკმარისი და მთავარი გამოწვევა ქართული მხარის მიერ რეფორმების განხორციელებას უკავშირდება.[38]

უმრავლესობის დეპუტატის, ბექა ოდიშარიას შეფასებით, ეს ვიზიტი იმაზე მეტყველებს, რომ „ქართული ოცნება“ ცდილობს, ზედმიწევნით შეასრულოს 12 რეკომენდაცია, ასევე, იმუშაოს ევროკავშირის მაღალი თანამდებობის პირებთან, რათა კანდიდატის სტატუსი მოგვენიჭოს.[39]

5.5. ევროკომისიის ზეპირი მოხსენება 12 პუნქტის შესრულების თაობაზე

21 ივნისს ევროკომისიამ ბრიუსელში ევროკავშირის ელჩებს საქართველოს მიერ ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მისაღებად განსაზღვრული 12 პრიორიტეტის შესრულების თაობაზე ზეპირი მოხსენება წარუდგინა.[40] მოხსენების მიხედვით, საქართველოს ნაწილობრივი პროგრესი აქვს მეორე რეკომენდაციაზე, რაც გულისხმობს სახელმწიფო ინსტიტუტების სრულ, დამოუკიდებელ ფუნქციონირებას და საარჩევნო საკანონმდებლო ჩარჩოს გაუმჯობესებას, ეუთო/ოდირისა და ევროპის საბჭოს/ვენეციის კომისიის მიერ გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის გზით.[41] დეოლიგარქიზაციის პუნქტში კი საქართველომ შეზღუდულ პროგრესს მიაღწია.[42]

საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2023 წლის 1-ლი ივნისი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/32438737.html, განახლებულია: 22.08.2023.

[35] იქვე.

[36] „პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ბრიუსელს სტუმრობს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge”, 2023 წლის 14 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/547954, განახლებულია: 22.08.2023.

[37] „პრემიერ-მინისტრის ვიზიტი ბრიუსელში - შეფასებები პოლიტიკურ სპექტრში“, საზოგადოებრივი მაუწყებლის ოფიციალური youtub-გვერდი, ხელმისაწვდომია: https://www.youtube.com/watch?v=F7T-nGJTe64, განახლებულია: 22.08.2023.

[38] „პრემიერ-მინისტრის ვიზიტი ბრიუსელში - შეფასებები“, საზოგადოებრივი მაუწყებლის ოფიციალური youtub-გვერდი, ხელმისაწვდომია: https://www.youtube.com/watch?v=gzDhp0UQgRI, განახლებულია: 22.08.2023.

[39] იქვე.

[40] „12 რეკომენდაცია: რა და როგორ (არ) შეასრულა საქართველომ“, საინფორმაციო პორტალი „ნეტგაზეთი“, 2023 წლის 22 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/life/676214/, განახლებულია: 22.08.2023.

[41] იქვე.

[42] იქვე. საქართველოს შესრულებულად ჩაეთვალა 3 რეკომენდაცია: 1) გენდერული თანასწორობის გაძლიერება და ბრძოლა ქალთა წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების წინააღმდეგ; 2) საქართველოს სასამართლოების მიერ განხილვისას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს [„სტრასბურგის“] გადაწყვეტილებების პროაქტიულად გათვალისწინება; 3) ახალი სახალხო დამცველის გამჭვირვალედ დანიშვნა. ნაწილობრივი პროგრესი აქვს 7 რეკომენდაციაზე: 1) პოლიტიკური პოლარიზაციის დაძლევა; 2) სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში; 3) სახელმწიფო ინსტიტუტების სრული ფუნქციონირება და საარჩევნო საკანონმდებლო ჩარჩოს გაუმჯობესება, ეუთო/ოდირისა და ევროპის საბჭოს/ვენეციის კომისიის მიერ გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა; 4) ანტიკორუფციული სააგენტოს გაძლიერება; 5) მოწყვლადი ჯგუფების და ადამიანის უფლებების დაცვის გაძლიერება; 6) სასამართლო რეფორმის სტრატეგიის მიღება; 7) ორგანიზებულ დანაშაულთან

მოხსენებას გამოეხმაურა ირაკლი ღარიბაშვილი.[43] მისი თქმით, ტრიოდან საქართველოს გამოყოფა იქნებოდა დასავლეთის სტრატეგიული შეცდომა და სწორედ კანდიდატის სტატუსის მინიჭება შეუწყობდა ხელს ქვეყანაში პოლარიზაციის შემცირებას.[44]

„ქართული ოცნების" თავმჯდომარის, ირაკლი კობახიძის თქმით, ივნისის ბოლომდე მმართველი პარტია ყველა შესაბამის კანონს მიიღებდა, ხოლო იქამდე, ვიდრე ოპოზიცია რადიკალურ ქმედებებს გააგრძელებდა, დეპოლარიზაციის მიღწევა შეუძლებელი იქნებოდა.[45]

პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" (ენმ) დეპუტატის, თინა ბოკუჩავას თქმით, საქართველოს მთავრობას არ გაუტარებია კანდიდატის სტატუსის მისაღებად აუცილებელი ძირეული რეფორმები. დეპუტატის აზრით, „ქართული ოცნება" მიზანმიმართულად აფერხებდა ევროინტეგრაციის პროცესს.[46]

დეპუტატ თეონა აქუბარდიას განცხადებით, მმართველმა პარტიამ უნდა შეწყვიტოს ანტიდასავლური რიტორიკა და რეალურად განახორციელოს დემოკრატიული რეფორმები.[47]

2023 წლის 27 ივნისს „ღია საზოგადოების ფონდმა" გამოაქვეყნა რიგით მეოთხე შეფასების დოკუმენტი - „სტატუსმეტრი".[48] დოკუმენტი ევროკომისიის მიერ ქვეყნისთვის კანდიდატის სტატუსის მისანიჭებლად განსაზღვრული 12 პირობის შესრულების მდგომარეობას ასახავს.[49] „სტატუსმეტრის" მიხედვით, ნაწილობრივ შესრულდა მეორე პრიორიტეტი, რომელიც საარჩევნო და ინსტიტუციურ რეფორმებს გულისხმობს, ხოლო დეოლიგარქიზაციის პრიორიტეტი ჯერ კიდევ შესასრულებელია.[50]

„სტატუსმეტრის" პრეზენტაციას გამოეხმაურა „ქართული ოცნების" თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე.[51] მან პრეზენტაციაზე წარმოდგენილ არასამთავრობო ორგანიზაციებს „კოლექტიური სერგო ორჯონიკიძეები" უწოდა და აღნიშნა, რომ „მდიდარი ენჯეოების" სურვილია, დეკემბერში საქართველომ ვერ მიიღოს კანდიდატის სტატუსი, რის შემდეგაც მთავრობის გადადგომას მოითხოვენ.[52]

პარტია „ლელოს" ლიდერის ბადრი ჯაფარიძის შეფასებით, „ქართული ოცნების" მხრიდან იმის მტკიცება, თითქოს მათ შესრულებული აქვთ წარმოდგენილი პრიორიტეტები, მაშინ, როდესაც რეკომენდაციების გამცემი მხარე ამის საწინააღმდეგოს ამბობს, შეიძლება მხოლოდ იმას ნიშნავდეს, რომ, რეალურად, მმართველ პარტიას განზრახულიც კი არ აქვს ამ რეკომენდაციების შესრულება.[53]

ბრძოლის გაძლიერება. შეზღუდული პროგრესი აქვს დეოლიგარქიზაციის პუნქტში, ხოლო პროგრესი არ აქვს რეკომენდაციაზე - პლურალისტური მედიის თავისუფალი, პროფესიონალური და დამოუკიდებელი ფუნქციონირება.

[43] „პოლიტიკოსები საქართველოს პროგრესზე ევროკომისიის მოხსენებას ეხმიანებიან", საინფორმაციო პორტალი „Civil.ge", 2023 წლის 22 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/549350, განახლებულია: 22.08.2023.

[44] იქვე.

[45] იქვე.

[46] იქვე.

[47] იქვე.

[48] „სტატუსმეტრი 4.0 - როგორ მიდის საქართველო ევროკომისიის 12 პირობის შესრულებისკენ", „ღია საზოგადოების ფონდის" ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://osgf.ge/statusmetri-rogor-midis-saqartvelo-evrokomisiis-12-pirobis-shesrulebisken-3/, განახლებულია: 22.08.2023.

[49] იქვე.

[50] იქვე.

[51] „ირაკლი კობახიძე - „სოროსის ფონდში" შეიკრიბნენ კოლექტიური სერგო ორჯონიკიძეები, ვანო ჩხიკვაძეები, მათ ერთადერთი მიზანი აქვთ, რომ საქართველომ კანდიდატის სტატუსი არ მიიღოს", საზოგადოებრივი მაუწყებლის ოფიციალური ვებგვერდი, 2023 წლის 28 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/Fwh7FJCP, განახლებულია: 22.08.2023.

[52] იქვე.

[53] „სტატუსმეტრი: როგორ სრულდება ევროკომისიის 12 პირობა?", საინფორმაციო პორტალი „Business Media Georgia", 2023 წლის 28 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://www.youtube.com/watch?v=x7qQCrAcLpQ, განახლებულია: 22.08.2023.

5.6. სალომე ზურაბიშვილის ინტერვიუ CNN-ზე

28 ივნისს CNN-თან ინტერვიუში სალომე ზურაბიშვილმა ნატოსა და ევროკავშირში სწრაფვის პროცესი შეაფასა.[54] მან ისაუბრა რეგიონში მიმდინარე რუსულ აგრესიასა და საქართველოში რუსეთის რბილ ძალაზე. პრეზიდენტის თქმით: „ევროკავშირი ვერ დაუშვებს საქართველოს დაკარგვას",[55] მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე რეფორმები, შესაძლოა, სრულად არ აკმაყოფილებდეს ევროკავშირის მოთხოვნებს.[56]

6. ევროპის სოციალისტურმა პარტიამ (PES) „ქართულ ოცნებას" წევრობა შეუწყვიტა

მიმდინარე წლის 28 აპრილს ევროპის სოციალისტური პარტიის (PES) წარმომადგენლებმა შეშფოთება გამოხატეს პრემიერ ღარიბაშვილის ქმედებებისა და განცხადებების გამო.[57] ამის ერთ-ერთი საფუძველი იყო 4-5 მაისს ბუდაპეშტში კონსერვატიულ პოლიტიკურ სამოქმედო კონფერენციაზე მისი მონაწილეობა. „ქართული ოცნების" დამკვირვებელ წევრობასთან დაკავშირებული საკითხი მანამდე PES-ის პრეზიდენტმა სტეფან ლოფვენმა მარტში გამართულ შეხვედრაზეც დააყენა.[58] 11 მაისს „ქართული ოცნების" თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ, იდეოლოგიური განსხვავების მიზეზით, პარტიის დატოვების შესახებ განაცხადა.[59] 29 ივნისს PES-მა მიიღო გადაწყვეტილება წევრობიდან „ქართული ოცნების" გარიცხვის თაობაზე.[60] PES-ის ხელმძღვანელმა წევრებმა წინადადებას მხარი ერთხმად დაუჭირეს.[61]

7. ნიკა გვარამიას საქმე

19 ივნისს „მთავარი არხის" დამფუძნებლისა და გენერალური დირექტორის, ნიკა გვარამიას სარჩელი უზენაესმა სასამართლომ დაუშვებლად ცნო, რითაც ძალაში დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 2 ნოემბრის განაჩენი.[62] ამ განაჩენის მიხედვით, გვარამიას ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის" დირექტორობისას უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისთვის 3 წლითა და 6 თვით პატიმრობა განესაზღვრა.[63]

აშშ-ის საელჩომ 20 ივნისს გამოქვეყნებულ განცხადებაში „ღრმა შეშფოთება" გამოხატა უზენაესი სასამართლოს მიერ ტელეკომპანია „მთავარი არხის" დირექტორ ნიკა გვარამიას პატიმრობაში და-

---

[54] „სალომე ზურაბიშვილი: „ევროკავშირი ვერ დაუშვებს საქართველოს დაკარგვას", საინფორმაციო პორტალი „Civil.ge", 2023 წლის 30 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/550149, განახლებულია: 22.08.2023.

[55] იქვე.

[56] იქვე.

[57] „ევროპელი სოციალისტების პარტიას კონსერვატორთა კონფერენციასთან „ოცნების" დაახლოება აშფოთებს", საინფორმაციო პორტალი „civil.ge", 2023 წლის 1-ლი მაისი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/539749, განახლებულია: 22.08.2023.

[58] იქვე.

[59] „იდეოლოგიური შეუთავსებლობის მიზეზით „ქართული ოცნება" ევროპის სოციალისტურ პარტიას ტოვებს", საინფორმაციო პორტალი „civil.ge", 2023 წლის 11 მაისი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/541808, განახლებულია: 22.08.2023.

[60] „ევროპის სოციალისტურმა პარტიამ „ქართულ ოცნებას", პოლიტიკური განსხვავებების გამო, წევრობა შეუწყვიტა", საინფორმაციო პორტალი „Civil.ge", 2023 წლის 30 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/550092, განახლებულია: 22.08.2023.

[61] იქვე.

[62] „უზენაესმა სასამართლომ ნიკა გვარამია პატიმრობაში დატოვა", საინფორმაციო პორტალი „Civil.ge", 2023 წლის 19 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/548874, განახლებულია: 22.08.2023.

[63] „სააპელაციო სასამართლომ ნიკა გვარამია პატიმრობაში დატოვა", საინფორმაციო პორტალი „Civil.ge", 2022 წლის 2 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/513436, განახლებულია: 22.08.2023.

ტოვების გამო.[64]

20 ივნისს მედიის უფლებადამცველმა საერთაშორისო ორგანიზაციამ „რეპორტიორები საზღვრების გარეშე“ საქართველოს პრეზიდენტს კიდევ ერთხელ მოუწოდა ნიკა გვარამიას შეწყალებისკენ.[65] მსგავს განცხადებებს მანამდე აშშ-ის და ევროკავშირის ელჩებიც აკეთებდნენ.[66]

22 ივნისს საქართველოს პრეზიდენტმა ნიკა გვარამია შეიწყალა.[67] სალომე ზურაბიშვილს ახსნა-განმარტება არ გაუკეთებია და აღნიშნა, რომ პატიმრის შეწყალება მისი დისკრეციული უფლებაა და ვინმეს ზეწოლას, რეკომენდაციას თუ რაიმე სახის მუქარას არ ექვემდებარება.[68] ენმ-ის დეპუტატ ლევან ბეჟაშვილის შეფასებით, პრეზიდენტმა სახელმწიფოებრივი გადაწყვეტილება მიიღო, თუმცა ეს მხოლოდ „ნახევარი საქმეა“ და საქართველოს ევროპული ინტეგრაციის ინტერესის დასაცავად ასევე აუცილებელია მიხეილ სააკაშვილის შეწყალება.[69]

პარტია „გირჩის“ წევრმა ვახტანგ მეგრელიშვილმა ნიკა გვარამიას შეწყალების ფაქტი პოზიტიურად შეაფასა, თუმცა დეპუტატს ამ გადაწყვეტილების შედეგად ქვეყანაში არსებული პოლარიზაციის შემცირების მოლოდინი არ ჰქონია.[70]

ნიკა გვარამიას შეწყალებას სოციალურ ქსელ ფეისბუქის პირად გვერდზე გამოეხმაურა საქართველოს სახალხო დამცველი ლევან იოსელიანი.[71] მისი თქმით, პრეზიდენტის გადაწყვეტილებამ საქართველო ევროპასთან კიდევ უფრო დააახლოვა.[72]

გვარამიას შეწყალების ფაქტს მიესალმა ევროპის საბჭოს პრეზიდენტი შარლ მიშელიც.[73] მისი აზრით, ეს გადაწყვეტილება საქართველოში დეპოლარიზაციას შეუწყობს ხელს.[74]

პარტია „ქართული ოცნების“ დეპუტატის, გივი მიქანაძის თქმით, სალომე ზურაბიშვილმა ამ გადაწყვეტილებით შეურაცხყო პრეზიდენტის ინსტიტუტი.[75] მისი შეფასებით, პრეზიდენტი ორიენტირებულია არა საზოგადოების აზრის გათვალისწინებაზე, არამედ „დავალების შესრულებაზე“.[76]

---

[64] „აშშ-ის საელჩო შეშფოთებას გამოხატავს ნიკა გვარამიას პატიმრობაში დატოვების გამო“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2023 წლის 20 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/549100, განახლებულია: 22.08.2023.

[65] „უზენაესმა სასამართლომ ნიკა გვარამია პატიმრობაში დატოვა“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2023 წლის 19 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/548874, განახლებულია: 22.08.2023.

[66] „აშშ-ისა და ევროკავშირის ელჩები: ნიკა გვარამიას შეწყალება საქართველოს პრეზიდენტის გადასაწყვეტია“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2023 წლის 24 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/538699, განახლებულია: 22.08.2023.

[67] „საქართველოს პრეზიდენტმა ნიკა გვარამია შეიწყალა“, საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალური ვებგვერდი, 2023 წლის 22 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://president.ge/index.php?m=209&news_id=1929&lng=geo, განახლებულია: 22.08.2023.

[68] იქვე.

[69] იქვე.

[70] იქვე.

[71] „იოსელიანი გვარამიას შეწყალებაზე: დღეს უფრო ახლოს ვართ ევროპასთან“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2023 წლის 22 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/32471270.html, განახლებულია: 22.08.2023.

[72] იქვე.

[73] „შარლ მიშელი მიესალმა ნიკა გვარამიას შეწყალების თაობაზე პრეზიდენტის გადაწყვეტილებას“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2023 წლის 23 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/549444, განახლებულია: 22.08.2023.

[74] იქვე.

[75] „ნიკა გვარამიას შეწყალება - შეფასებები“, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ოფიციალური youtub-გვერდი, 2023 წლის 23 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://www.youtube.com/watch?v=q_zRTVBpL3I, განახლებულია: 22.08.2023.

[76] იქვე.